აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის უფროსის

Аҧснытәи Автономиатәи Ареспублика Ааиҳабыра Аусбарта Анапхгаҿ Идца

ბრძანება

№33 2023 წლის 8 თებერვალი ქ. თბილისი

ა(ა)იპ ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრისათვის" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ

"აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „ა(ა)იპ ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრისათვის" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2023 წლის 8 თებერვლის #33 განკარგულების და „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ზოგიერთი უფლებამოსილების აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის უფროსისათვის დელეგირების შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2019 წლის 27 აგვისტოს #241 ბრძანების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ბალანსზე რიცხული 1 (ერთი) ერთეული ავტომანქანა HYUNDAI ELANTRA (ს/ნ QQ123WW, საიდენტიფიკაციო ნომერი KMHDG41CBDU804382), გამოშვების წელი - 2013, საბალანსო ღირებულებით: 14309.6 (თოთხმეტი ათას სამას ცხრა ლარი და სამოცი თეთრი) ლარი, უსასყიდლოდ, უვადო სარგებლობაში, აუქციონის გარეშე გადაეცეს „ა(ა)იპ ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო-ანალიტიკურ ცენტრს".

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საფინანსო-

ლოჯისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის შესყიდვებისა და ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - მერაბ ჭანტურია (პ/ნ 62007000486).

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, ანა კალანდაძის ქუჩა №7ა) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის აპარატის უფროსი ოთარ გარმელია